საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს

ტერიტორიული ორგანო ქალაქ წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრი

08/12/2025

MES 5 25 0001748175

სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს
თავმჯდომარეს ქალბატონ ნათია ჩირიკაშვილს

ქალაქ წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრი წარმოგიდგენთ 2025 წლის ანგარიშს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49–ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის "ინფორმაციის თავისუფლების" თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად და ამავე კოდექსის III თავით დადგენილი მოთხოვნების შესრულებისა და საჯარო ინფორმაციის გაცემა/არგაცემის სტატისტიკასთან დაკავშირებით, წარმოგიდგენთ წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის 2025 წლის ანგარიშს:

ა) წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა - 3 (სამი) მოთხოვნა. საჯარო ინფორმაციაში შესწორების თაობაზე რესურსცენტრში მოთხოვნა არ შემოსულა. 1 (ერთი) გადაწყვეტილება იქნა მიღებული რესურსცენტრის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემის უარის თაობაზე.
ბ) იყო 3 (სამი) მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე და მიღებული იქნა 1 (ერთი) გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.
გ) საჯარო მონაცემთა ბაზების თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა, საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა, პერსონალური მონაცემების სხვისთვის გადაცემის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა.
დ) 2025 წლის საანგარიშო პერიოდში წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრში დასაქმებულთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნები არ დარღვეულა და პასუხისმგებელ პირებზე შესაბამისი დისციპლინური სახდელი არ დადებულა.
ე) წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრმა ინფორმაციის გაცემაზე 1 (ერთი) უარი თქვა, შესაბამისად გამოყენებული იქნა მოქმედი საკანონმდებლო აქტები.

ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება არ მომხდარა.
ზ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის ,,ზ'' პუნქტის მოთხოვნასთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრში ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა. რესურსცენტრის მიერ ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება ერთხელ იქნა მიღებული. არ გვაქვს ინფორმაცია გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების და მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების თაობაზე.

ქალაქ წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის 2025 წლის წლიურ ანგარიშს წარმოგიდგენთ აგრეთვე ცხრილის ფორმით:

ანგარიში	**რაოდენობა**
მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე	3 (სამი)
საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე მოთხოვნა	0 (ნული)
საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება	1 (ერთი)
საჯარო მონაცემთა ბაზის თაობაზე მოთხოვნა	0 (ნული)
პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და შენახვის თაობაზე მოთხოვნა	0 (ნული)
მოთხოვნა პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის სხვისთვის გადაცემის თაობაზე	0 (ნული)
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ	0 (ნული)
დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემასთან, აგრეთვე ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ	0 (ნული)

პატივისცემით,

რესურსცენტრის უფროსი
ჩხეტიანი მამუკა

ბიბლიოგრაფიული
მზაბეჭდსმეღია
ელექტრონული